საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2005 2015 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრებად არჩევის მიზნით ეფრემ ურუმაშვილის, ეკატერინე გალდავას, ირაკლი კოვზანაძის და საშა ტერნესის კანდიდატურების საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონის (03.09.2015 წ., №4188-Iს) მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად:

1. განხილულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრებად არჩევის მიზნით - ეფრემ ურუმაშვილის, ეკატერინე გალდავას, ირაკლი კოვზანაძის და საშა ტერნესის კანდიდატურები.

2. წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრებად: 5 წლის ვადით არჩევის მიზნით ეფრემ ურუმაშვილის კანდიდატურა, ხოლო 7 წლის ვადით არჩევის მიზნით - ეკატერინე გალდავას, ირაკლი კოვზანაძის და საშა ტერნესის კანდიდატურები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი